



გ. გ. გ. აბაშიძის

გაუმარჯოს... ქორვაჭრებს!...

ეროვნული
ნიშნითაა

დიდი ხნის უნახავი მეგობარი შემხვდა. იმდენი მკოცნა და იმდენჯერ ჩამიკრა გულში, რომ სინანულით გავიფიქრე, გაუფრენია-მეთქი (რა თქმა უნდა, მტრედები არ მყოლია მხედველობაში!).

— გაზეთში ფელეტონი წავიკითხე!.. ავტორი შენ ხარ ხომ?! მესიამოვნა!.. ცხადია, ჩემი მეგობარი არ აფრენდა (არც ახლა მყოლია მტრედები მხედველობაში).

შევიფრე:

— რომელ გაზეთში, კაცო?

— ეჰეე!.. — გაიცინა, — ჩვენც ვკითხულობთ ხანდახან რაღაცებს!.. — და კიდევ ერთხელ გადამეხვია. — სხვათა შორის, ძალიან კარგ დროს შემხვდი, რომ იცოდე! ფელეტონის თემა მაქვს ერთი. შენისთანა მაგარი ფელეტონისტი უნდა მხოლოდ. ქორვაჭრებმა აიკლეს ქვეყანა. საქმეა ეს?

სიამაყე ვიგრძენი.

— არაა კაი საქმე! — დავეთანხმე.

— მაღაზიაში ვერ იშოვი!.. აფთიაქში ვერ იშოვი!.. ვერსად ვერ იშოვი!.. მიხვალ ქორვაჭრებთან და — ინებე, აირჩიე, რაც გაგინახრდება!

რა გამახარებდა ამის გამგონეს? დავიბოღმე.

ერთი სიტყვით, ერთ კვირაში ისეთი ფელეტონი გამოვაცხევე, აშკარა იყო, დაიბეჭდებოდა თუ არა, ქალაქის საავადმყოფოებს მცირე საზრუნავს არ გაუზრუნდნენ: იმის წამკითხველ ქორვაჭრებსა და მათ ხელისშემწყობთ, სულ ცოტა, მიკროინფარქტები განადღებული ექნებოდათ! სათაური ჯერ ასეთი ჰქონდა: „ქორვაჭრების ფეხქვეშ მინა უნდა იწვოდეს!“ მერე უფრო გავამძაფრე: „ქორვაჭრების ფეხქვეშ მინა უნდა იწვოდეს, იბუგებოდეს და იხრუკებოდეს!“

ის იყო, ფელეტონი უნდა გადამებეჭდა, რომ დაღვრემილი ჩემი ქალიშვილი შემოვიდა ოთახში.

— ხომ ჩავირიცხე სამედიცინო ინსტიტუტში, შენ რომ აზრზე არ იყავი, ისე?

ეს ისეთი კილოთი ითქვა, კარს უკან მისი დედის (ესე იგი, ჩემი მეორე ნახევრის), მამიდის (ესე იგი, ჩემი დის), დედის (ესე იგი, ცოლისდის) გაფაციცებული ტრიუმფირატი რომ იდგა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა.

სიმართლეს მაინც სად გავეცეოდი!

— კი!

— სკოლაში რომ მეცვა, იმ ტანსაცმლით უნდა ვიარო ინსტიტუტში?

მე, მაგალითად, მე-8 კლასში რომ შემიკერეს, იმ ხაკის შარვლით დავამთავრე უნივერსიტეტი. სიგრძეში ვუმატებდი მხოლოდ (ბებიჩემი წინდახედული ქალი იყო და გვარიანად შემოეყვცა).

მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, სხვა დროა. შემოქმედმა კაცმა დროის შეგრძნება თუ დაკარგა, კაპიკია მისი ფასი!

— კაბა მამიდამ ჩამომიტანა, ლაბადა — დეიდამ, მაგრამ რა?.. უფესხაცმელოდ ხომ ვერ წავალ? შენ არ შეგანუხებდი, მაგრამ... — მომესიყვარულა, — რომელიმე მაღაზიაში აუცილებლად ექნებათ გადანახული, უარს ვერ გეტყვიან: შენ ყველა გიცნობს!

მართალი გითხრათ, ამ ბოლო ფრაზას, რომელსაც კარს უკან დამალული ტრიუმფირატი ალბათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ჩემზე განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია: ჩემზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა, რა ბიჭიც ვიყავი! მაგრამ ქალიშვილის თხოვნაც რომ სამართლიანი იყო, წყალი არ გაუვიდოდა.

ბევრი რაღა გავაგრძელო, გვერდზე გადავდე ჩემი გადასაბეჭდი ფელეტონი და... დავინყე მაღაზიების შემოვლა.

ერთი კვირისთავი სრული კრახით აღინიშნა! სიარულ-სიარულში ფეხზე რომ ეცვა, ის ერთადერთი ფეხსაცმელიც ისე შემოაცვდა, რომ გოგოს შემხედვარეს დანა პირს არ მიხსნიდა. არადა, ორ დღეში პირველი სექტემბერი გვითენდებოდა!..


და აქ, იცით, რამ მიშველა? ფელეტონმა, რომელსაც წინა კვირის განმავლობაში დიდი რუდუნებით ვწერდი: მოშხამულ გუნებაზე ოთახში აქეთ-იქით ლოგინინის იერით რომ დავდიოდი, უცბად თვალში მომხვდა გადასაბეჭდად გამზადებული ფურცლები, რამაც თავის მხრივ დაბადა მხსნელი იდეა და... სასწრაფოდ გავქანდი... სად? უჩემოდაც კარგად მიხვდებით!

საათ-ნახევრის შემდეგ ოჯახში დიდი სიხარული შემოვიტანე, ბედნიერებისაგან წამოწითლებული ჩვენი გოგო აქეთ-იქით დაბაკუნობდა ახალი ფეხსაცმელებით. ასეთ ბედნიერ ნუთებში, აბა, მითხარი, რომელ თქვენგანს მოუტრიალდებოდა ენა პირში და ირონიულად მკითხავდა: რა მიეცი მაგ ფეხსაცმელებშიო? ფულშია განა ბედნიერება?!

სახელდახელოდ გამართულ უტკბილეს ოჯახურ სუფრაზე, სადაც თამადად, რა თქმა უნდა, მე ამირჩიეს (ისიც ცოლის წინადადებით), გინდ დამიჯერეთ, გინდ — არა, ქორვაჭრების, როგორც გაჭირვების ტალ-კვესების, სადღეგრძელო ფეხზე ადგომით დაილა.

მურად ზანტურია

ახ. დ. თოთიბაძისა



უსიტყვოდ

ეს სისხარული გვიმრავლუ!..

ხახამურალმა ონკანმა
ნერვებისაგან გაგვცალა..
გახარებულმა გერვანიმ
ამ დილით თოფი დაცალა!..


უწყლოდ ვისა აქვს მხნეობა?
წარსული დარჩეს წარსულად!..
გვეგონა ჰქონდა ძეობა —
„ონკანში წყალი მოხულა!..“



ტელეფონი

ვაჩხაკუნებთ — ხმას არ იღებთ,
დაგვაჩინა გულზე დალი!..
გახლავთ იგი ჩვენი დროის
სატანჯველი იარაღი!..

ისმინეთ ჩვენი ვედრება,
თუ არ გასურთ სული აღმოგვხვდეს,
აფთიაქში რომ დავრეკავთ,
მილიციაში არ მოვხვდეთ!..



ბიუროკრატი

კოკას შიგან, ვატყობ, რაც დგას!
რომ შევხედო, გამეცინა!..
ზოგჯერ კარებს გამოკეტავს,
არხეინად წევს და ხდინავს!..

ყელამდე ქალღმერთი
(უყვარს თურმე ღვინო „ხირსა“!),
კაბინეტში არ შეგიშვებს,
პასუხისაც არ გთვლის ღირსად!..

მლიქვნელი



ზურგს უკან საფლავს გაგიფხრის,
ტყუილი დააქვს გულით!..
მგონი ამდენი ლაქუციით
მართლაც ამოსდის კული!..

მეხვალა

მთელ ქვეყანას დაგპირდება,
საქმეს კარგად ვერ პატრონობს,
„გამარჯობას“ როცა ეტყვო,
გიპასუხებს: „ხვალ, ბატონო!“

ყველას მუვი-ლოგით გაგზავროთ!

„ეს ავტობუსი, მგზავრებო,
რეზინის ხომ არ გგონიათ?“ —
მძლოლი წუხს, ჭკუას გვარიგებს,
ჩხუბსა და ყაყანს უნდება:
„ორ მხარეს ჩამოეკიდეთ,
თორემ სულ გადაბრუნდება!..“

ეს აღარ მოხდეს ხვალღიან,
ხვალღიან გეტყვით დანარჩენს!..
ისე ვიმგზავროთ, კარებში
ფები და ცხვირი არ დავგრჩენს!..

არ შემოგვაკლო სინათლე!

ზოგჯერ ნათურა უეცრად
თვალს ჩავვიკრავს და ჩაქრება!..
გოყვარდეს მერე სიბნელე,
სინათლე ყველგან გაქრება!..
ბრმებივით ვხვდვართ ბნელს
დიდხანს.

არ არის დასაფარავი:

კაცი არაფერს იკითხავს.
ბოდიშს მოგიხდის არავინ!..
ვისაც გეხებათ, გვიშველეთ.
თქვენ გლოცავთ თასის აღებით,
არ შემოგვაკლოთ სინათლე,
გაგვიჩახჩახეთ ქაღები!..

რადიოს

გვიკვირს, ასე რამ დაგაცხრო,
ასე ხმა რამ ჩაგისრინწა?
ახლა მაინც გაყოჩაღდი,
ღაირბინე ცა და მიწა!

სიტყვა გქონდეს უტყუარი,
ხმა — ამაყი და ძლიერი,
ვაუკაცურად ჰქედეს ყველგან
შენი „მრავალუამიერი“!

რძის კომბინატს

რძის ნაწარმი ყველას უნდა,
არის რიგი. გრძელი სია!..
ვინც ადგება უთენია,
ვინც მოასწრებს, იმისია!..

ქუთაისის პროდუქცია


აქვს ხარისხი უმაღლესი,
მტერი შურით დაიმება!..
ჩვენს ნაწარმზე გაჩნდა რიგი,
იყო ერთი კისრისტება!..

ვიღაც თვალებს არ უჭერებს,
ამბობს: „სულზე მივუსწარი!“
ღმერთო, ღმერთო, ახლა მაინც
ამისრულე ეს სიწმარის!..

ღია ფარილი სახაჭაპურუს

ნუ იჩქარებთ, მოშუშება,
გამოცხობა დააცალეთ,
ცოტა ყველიც რომ დააღობოთ...
თორემ წყლის სმით მივიცვალეთ!..

ნაწენი მომხმარებელი
ღღეს გირიგდებათ ლაზარე,
განთქმულს ქართულსა ხაჭაპურს
ქვეყანას ნუ შეაზარებთ!..



ღირექტორის კაცი


— ეს უქნარა რას აკეთებს,
აქ ვინ, რისთვის მოიყვანა?
ბუზებს ითვლის და მგონია,
სულ მისია ეს ქვეყანა!

— ღირექტორის კაცი გახლავთ,
ენა მიაქვს, აგებს მახეს,
უფროსი რომ დააცხიკვებს, —
ხეირო, — მიიძახებს!..

თბოგაურნაობის მუზაკაბს

ზამთარია, უბერავს,
სიცივით ვიყინებით,
მზემ თუ გამოაჰყუცია,
სულ არ თბება ბინები!..

როგორ მივა, ო, სითბოსთან
ოქრო იყოს, თუნდაც ვერცხლი?
გადაწვევით, რომ დავანთოთ
ოთახებში შუაცეცხლი!..





„ნიანგი“ ზეჯვარდინეზე

სატირიკოსები საქანთან

— უნდა გიყვარდეთ თუ არა ქვეითად მოსიარულენი? — ამგვარი მოულოდნელი შეკითხვით მიმართეს თბილისის ქუჩებში ქართველმა სატირიკოსებმა ავტოტრანსპორტის მძღოლებს და, იცით, რა პასუხი მიიღეს?

— გიყვარდეს?! არა, არ უნდა გადავჯვავოთ, რაღა თქმა უნდა!.. მაგრამ გიყვარდეს? რატომ? ჩემი ძმა არის? მეგობარია? მეზობელია?..

დაიხ, დრო შეიცვალა. ქუჩებში უკვე აღარა აქვს ადგილი ქვეითად მოსიარულეების ადრინდელ უპირატესობას.

გუმანით მიხედნენ, რომ ქვეითად მოსიარულეებსა და მძღოლებს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ ერთმანეთი. ეს პარადოქსი რომ იგრძნეს, სატირიკული ჟურნალის „ნიანგის“ — „კროკოდლის“ კავკასიელი სენხიის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს აეღოთ შეფოხა რესპუბლიკის ქვეითად მოსიარულეებზე და იმისათვის, რომ შეფოხა უფრო ქმედითი ყოფილიყო, ამ საქმეში ჩართეს სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები მათი უფროსის გიორგი ცინცაძის თავკაცობით.

გამორჩევა, რომ გარდა ურთიერთპრეტენზიებისა, მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს აქვთ საერთო პრობლემებიც. უპირველესად ყოვლისა, ეს არის გზების ხარისხი, განსაკუთრებით ქალაქის ახალ რაიონებში. ანგრეულ-დანგრეულ გზებზე მოქალაქენი ემსგავსებიან სლალომისტებს. ღრანტებისა და ორმოების გამო, რომლებიც წვიმების დროს წყლით ივსება, ავტომობილები რეგულარულად ბინძურ შხაპს ავლებენ ქვეითად მოსიარულეებს. ხშირია ტრავმების შემთხვევები, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არის განათება და ჭები თავდაუხურავია. არც მინისქვეშა გადასვლელებით არიან განებივრებული საქართველოს ქვეითად მოსიარულენი. მთელ რიგ ტრასებზე ავტონაკადები არ შეესაბამება მათ შესაძლებლობებს. მაგალითად, ნატახტარ-გორის ტრასის გამტარუნარიანობა თითქმის სამჯერ ნაკლებია იმაზე, რაც მას შეუძლია გაატაროს ფაქტობრივად. დიდად სახარბიელო არც გზების საფარია. აქედან მომდინარეობს ავარიების სიხშირე ამ ტრასაზე.

მწვავედ დგას მანქანების არაკვალიფიციური ტარების პრობლემა, ბევრ დავიდარბას აწყდება სახელმწიფო ავტონისპექციის სამსახური დამწყები, გამოუცდელი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მძღოლების გამო. ისინი ყველაზე მეტად საშიში არიან გზებზე და, მიუხედავად თუ არა მშობლების ავტომანქანების საჭეს, ნაკლებად ზრუნავენ, არ უფრთხილდებიან ამ ძვირადღირებულ საჩუქარს, თავქუდმოგლეჯილი დაქრიან ქუჩებში, ადგებულად უგაულეებლყოფენ დადგენილ წესებს და არცთუ იშვიათად ხდებიან ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი, ზოგჯერ კი სრულიად უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის მიზეზი. ხოლო მშობლები ბავშვებს რომ ანდობენ საჭეს, არ უფრთხილდებიან იმას, რომ ავტომობილი გამოუცდელი ადამიანის ხელში შეიძლება იქცეს ტანჯვისა და უბედურების წყაროდ. ასეთ შემთხვევაში ძირითადად უნდა მოვკითხოთ პირტიტველა უსაქმურების მშობლებს.

აქვთ „საკითხები“ მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს თვით ავტონისპექტორების მიმართაც. ვხვდებით გამოძალვასაც, მექრთამებასაც, უპრაოდ — უხეშობას. ეს კი უფრო ღრმად აღსვამს ადამიანს, ვიდრე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სასჯელი...

თუმცა უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციის საკადრო პოლიტიკა სასიკეთოდ შეიცვალა. სამუშაოზე ადამიანებს ღებულობენ მხოლოდ გულდასმითი შემონგების შედეგად, წინა სამსახურში მოპოვებული ავტონიტიტის, საქმიანი თვისებების, კომპეტენტურობის, ფიზიკური მომზადებისა და გარეგნული მონაცემების გათვალისწინებითაც კი. გარდა ისეთი თვისებებისა, როგორცაა თავზიანობა, კორექტულობა, მომთხოვნელობა, განა ინსპექტორი არ უნდა იყოს გარეგნულად მონესრიგებული, მხედრულია შემართული? — სწორედ ასეთად გვესახება ადამიანი, რომელიც წესრიგს იცავს გზებზე. თითოეული, რომელსაც სურს სახელმწიფო ავტონისპექციაში სამსახური, გადის სპეციალურ კონკურსს.

ახლა ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის ჟურნალისტები, ხელოვნების მოღვაწენი. შეიქმნა მულტიფილმი მოზარდთა ტრავმატიზმზე. გამოკვებულნია ხატოვანი პლაკატები, ტარდება სხვადასხვა კონკურსები. ჟურნალი ყოველწარტალიურად უშვებს ბუკლეტს „ნიანგი“ ზაჯვარდინეზე“, რომელიც სატირიკული ფორმებით აფასებს ვითარებას რესპუბლიკის გზებზე.

(ჟურნალი „კროკოდლი“, № 14, 1988 წ.)


რედაქციის სპან:

ჩვენ დიდ პატივად მიგვაჩინა, რომ ჟურნალმა „კროკოდლიმა“ კეთილად მოიხსენია ბუკლეტის — „ნიანგი“ — ზაჯვარდინეზე“ — წელილი, რომელიც მას შეაქვს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფოებრივ საქმეში. ამასთან საჭიროდ ვცანით მკითხველს მივანოვოთ მოკლე ცნობა ამ ბუკლეტზე, რადგანაც მისი ტირაჟი (10 ათასი ცალი) ფრიად მოკრძალებულად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის ყოველი მოსახლე თავისთავად ქვეითად მოსიარულეთა კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო მის გზებზე ყოველდღიურად გამოდის ნახევარ მილიონზე მეტი სხვადასხვა მანქანა და ალბათ ბევრს არ მიუწვდება მასზე ხელი.

„ნიანგი“ ზაჯვარდინეზე“ ბუკლეტად ხუთი წელია გამოდის, მანამდე, კი თითქმის შვიდი წლის მანძილზე მას პლაკატის სახე ჰქონდა. ზემოხსენებული 10.000 ცალიდან 9.000 „სოიუზპერატის“ ქსელში გადის, ხოლო ათას ცალს ავრცელებს სახელმწიფო ავტონისპექცია. წარმოადგენს მის სარედაქციო კოლეჯიასაც: ზაურ ბოლქვაძე — მთავარი რედაქტორი, ბეჟან სიხარულიძე — რედაქტორი, ნოდარ მალაზონია — მხატვარ-რედაქტორი, ვარლამ შადური — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გიორგი ცინცაძე — რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოს უფროსი, რობერტ იანტბელიძე — ამავე სამმართველოს განყოფილების გამგე, ვალერიან როგავა — თბილისის ავტონისპექციის უფროსი.

ბუკლეტში სისტემატურად შუქდება საგზაო მოძრაობაში შექმნილი ვითარების მიმოხილვები, ქვეყნდება კრიტიკულ-მამხილებელი წერილები, ფოტობრალდებები, ფელეტონები, მინატიურები, კარიკატურები. იუმორესკები... მასში თანამშრომლობენ რესპუბლიკის თვალსაჩინო ჟურნალისტები და მხატვრები. ბუკლეტი მონონებით სარგებლობს.


სარედაქციო კოლეჯია თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს კიდევ უფრო სრულყოფილ ბუკლეტის შინაარსობრივი და მხატვრული სახე, მისი ეფექტურობა, და იმედოვნებს, რომ ამ საქმეში მას დიდ შემწეობას გაუწევს ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია და მთელი საზოგადოებრიობა.



ნახ. ვ. კუცინასი

— დაიხსომე, შვილო: ხვანჯარის ფერზე — სდექ! რქაწითლის ფერზე — ყურადღება! მანავის მწვანის ფერზე — გზა შენია!..

გელა ჯინჭა- რაძე



საქართველო ლიბრეტი

მსგავსება

როგორც ბერძენებს — ხე რამ ნაკვალა
ან სასახლეს ჰგავს ქობი ალიზის,
ხელიკი დინოზავრს რომ მიაგვანო.
ფინია — ნავაზს კბილებადღისილს;
ან, როგორც ჩიტი ნიბლია — არწივს
და ხატაურა ვეფხვს ემსგავსება.
რამდენი თურმე ასე ჰგავს კაცი
აღამიანის ნამდვილ არსებას!

რა მრჯის, თვარა კი!
(მუხრანის ეპიგრამა)

ლექსპრესნი ზოგი ექსპრესის
მძღოლს

ხშირად მიხდება მგზავრობა
ქალაქის ბევრი ექსპრესით,
მათ მძღოლებს ვუძღვნი ლექსს პრესით,
რომელსაც ჰქვია ლექსპრესი.
რადგან ნახევარექსპრესიც
ნახევარძმა ექსპრესის,
ამ ლექსპრესიდან ეკუთვნის
მასაც ნახევარლექსპრესი.



რადგან ყველას გვსურს პროგრესი,
რაკი ყველას გვძულს რეგრესი,
უნდა გავასწროთ ტრამვაის,
უნდა დავიცვათ ეს წესი!
არ იფიქროთ, რომ თავს გესხმით,
არ იფიქროთ, რომ ქვებს გესვრით,
ძმურად გიგზავნით ლექსს პრესით,
ძმურად მიიღეთ ლექსპრესი!

აღწარმოება და ინტეგრირება

ვნახე ბერძენი და ვნახე ხეც,
აღწარმოებაც ვნახე ხის:
მოჭრეს, გაწაღდეს, დახერხეს,
მღეროდა ხერხი მკაბე ხმით.
ხეს იცნობთ — ტანად ახოვანს,
ხერხს იცნობთ — კბილებგახეხილს..
ცალკე დალაგდა ფიცარი,
ცალკე დაცვივდა ნახერხი.
ფიცრები სუფთად გარანდეს,
ნახერხს მიუღწენ სხვა ხერხით:
ეს უვარგისი დიქტები
ინტეგრალია ნახერხის.



დიალოგები

— რატომაა დაკეტილი ბინა? პატრონი მოკვდა თუ?..
— არა, არ მოკვდა, ის ჯერ არ დაბადებულა!.. პატრონი
ვასილი იანვარში ელოდება შვილიშვილს და იმისთვის ააშენა
ბინა!..

X X X

— ამას რას ვხედავ? კოლმეურნეობის საქონელს მხოლოდ
ძვალი და ტყავი შერჩენია!..
— სამაგიეროდ ფერმის გამგე დადის ტყავის პალტოთი!

X X X

— თქვენი შვილი ბოლო დროს მოიკოჭლებს, — უთხრა მას-
წავლებელმა.
— არა უშავს! მე ის სამედიცინო ინსტიტუტში მინდა მოვან-
ყო და არა სამხედრო აკადემიაში!

X X X

— მალე მივალთ საკოლმეურნეო ბაზარში? — იკითხა მგზა-
ვრმა.
— ავტობუსი სოფელში მიდის, ბაზარი უკან დარჩა.
— მაშ, სად მიაქვთ კომბოსტოთი, კარტოფილით და ხახვით
გატენილი ტომრები?

X X X

— როგორ გრძნობ თავს? — ჰკითხეს ავადმყოფს საექიმო
შემოვლის დროს.
— როგორც სახლში: ქვეშაგები, წამალი და საქმელი ჩემია!

X X X

— ამ კაცს ჩიტის რძეც არ აკლია!
— რატომ?
— იმიტომ, რომ კარგი ჩიტია!

X X X

— საავადმყოფოში მინდა დავწვე, მაგრამ ფული არა მაქვს,
სანოლი 50 მანეთი ღირებულა!..
— მეგობარო, მე მაქვს ორი თავისუფალი სანოლი, ერთი
უსასყიდლოდ წაიღე!

ოთარ ნაჟაგია
(ქ. ს. ო. ხ. მ. ი.)

ნახ. გ. მორჩაძისა



— რად უნდა ამ გამხდარ კაცს ასე ფართო
კოსტიუმი?
— ალბათ ხორცკომბინატში იწყებებს მუშაობას!..



ნ.ხ. დ. თოსთიბაძისა

— მიდი, წრუწუნა, სადილი გაამზადე! აქ დიდხანს არავინ შე-
მოვა...

არჩევანი ჩვენზეა!

როგორც ვიცით, ჰიპოკინეზია დაუდევართა სენია! — უძრავობა მოდუნებას იწვევს! ამიტომ, სანამ საქმე სამკურნალო წამლებამდე და პროცედურებამდე მივიდოდეს, საჭიროა წინასწარ ცოტადენი თავის შეწუხება! — შრომით, ვარჯიშით, პირადი ჰიგიენით გავიკაუთოთ ორგანიზმი, ავად ყოფნას ვამჯობინოთ კარგად ყოფნას, წამლებს — პროფილაქტიკას, მავნებს — სამარგებლოს, ანუ კონკრეტულად:

- | | |
|------------------------------|---|
| ადრენალინს — ადრე ადგომა; | ექსკუზანს — ექსკურსია; |
| აკუბუნქტურას — ფიზიკულ-ტურა; | ვალკოორდინს — ველოსპორტი; |
| ალკოჰოლს — ასკილი; | ვიპრაკუტანს — კავი და გუთანი; |
| ასპირინს — ერთი პირი; | ინექციას — ლექცია; |
| ამინაზინს — ალპინიზმი; | ინსულინს — ჯან, სულო! |
| ასპარკამს — ასპირანტურა; | კარანტინს — კარატე; |
| ბანქოს — საქმე; | კენესასა და „ვაი, დედას“ — ხენა-თესვა და დელი-დელა; |
| ბიცილინს — სიცილი; | |
| ბუტადიონს — სტადიონი; | |

- | | |
|---------------------------------------|---------------------------------|
| კორვალოლს — კარნავალი; | ტრენტალს — ტატამი; |
| კოტოშებს — კუნტრუში; | ტუბაზიდს — ტურბაზა; |
| მანინილს — მწვანილი; | ურისალს — ურო და სოლი; |
| მეზოკაინს — კაი ეზო-კარი; | ფტივაზიდს — თივის ზიდვა; |
| ნიკოტინს — სადი ტვინი; | შარსა და შურს — შურიშური; |
| ოპიუმს და ანაშას — ოფლის დერა ყანაში; | ჯავრიანობას — ჯანიანობა; |
| პანტაპონს — პანტის ჩირი; | ხიხინს — ლიღინი; |
| პათოლოგიას — ანთოლოგია; | ხურეებას — ხუმრობა; |
| სალიცილს — ხალისი; | ჰაშიშს — შაში; |
| სალოლს — სლალომი; | ჰემასტიმულინს — შრომის სტიმული; |
| სალბუნს — სამბო; | ჰოსპიტალს — თოხ-ფინალი. |
| სენს — წვენი; | |
| სნეულებას — წვეულება; | |
| სპირს — სპორტი; | |
| სულგინს — სულგუნი; | |
| სულფადიმეზინს — სოლ, ფადიეზი; | |

არჩევანი ჩვენზეა!
აკოლონ ბასილია

ძვირფასო „ნიანგო“! მიმდინარე წლის თებერვლიდან შეწყდა სავაჭრომობილო გზის მოძრაობა რიონ-ჭუთაის-წყალტუბოს მიმართულებით, რაც გამოწვეული იყო მდინარე რიონზე გუმათბესთან მდებარე ხიდის მესამე ბურჯის გადახრით. რიონის, ზართის, გოლგვის, სორმონის, ნოდის მცხოვრებნი, გუმათბესის მარცხენა მხარის დასახლება, სკოლა-ინტერნატი, ქ. ჭუთაისის 28-ე საშუალო სკოლა მოსწყდა სამანქანო გზას, ხარკინიგზო, საჰაერო ცენტრებს!..

უგზოობის პირობებში შეფერხებების, სერიოზულ დაბრკოლების წინაშე ვართ, სოფლების — რიონისა და ზარათის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა და სხვა დაწესებულებათა პერსონალის ერთი ნაწილი ჭუთაისიდან დადის. უტრანსპორტობა ძალიან აფერხებს მათ მიმოსვლას და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

დიდი იმედით მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ნიანგო! გთხოვთ გაითვალისწინოთ სამანქანო უგზოობით გამოწვეული ჩვენი ახლანდელი მძიმე მდგომარეობა და გვიშუამდგომლოთ ხელმძღვანელ პირებთან, ან სასწრაფოდ შეაკეთონ ამჟამად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი დაკეთილი გუმათის ხიდი ისე, რომ იგი გახდეს საექსპლუატაციოდ ვარგისი, ან ნება დაგვართოთ გუმათბესზე ტრანსპორტის მოძრაობისა!



პატრივციმულ ნიანგო! გთხოვთ ეს ბარათი ქ. თბილისის სატრანსპორტო გერტიანებას არ გადაუგზავნოთ. ცნობისათვის კი იცოდეთ, რომ კუკიის დასახლების ნორიოს აღმართის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში ვართ: №29 ავტობუსი კოლმეურნეობის მოედნიდან, ხოლო №58 მიკროავტობუსი კინოთეატრ „ნაკადულიდან“ ჩვენამდე ძნელად აღწევს. თქვენი იმედი გვაქვს, ნიანგო, იქნებ გვიშველო რაში!

ამ ბარათს წყალტუბოს ზონის სოფელ პატრიკეთის ახალგაზრდობა გიგზავნი. ჩვენ არ ვფიქრობთ სოფლის მიტოვებას და ქა-

ლაქში გახიზვანას, მაგრამ შექმნილმა პირობებმა ვართუ ესეც გვაფიქრებინოს, არადა, რა ძნელია სოფლის ახალგაზრდობისთვის უსინათლობა, ურადიოობა, უტელეფონობა, უკლუბობა, უგზოობა...

ჩვენო ნიანგო! ამდენი „უ“ რომ არ იყოს, იქნებ თქვენ მაინც გვიშუამდგომლოთ ჩვენი ზონისა და სოფლის ხელმძღვანელობასთან, რომ გაუთავებელი დაპირებების მაგივრად საქმე გაგვიკეთონ!

საშპარმლო ნიანგო! ადიგენის რაიონის სოფელ გომაროს მცხოვრებლები დიდი გულისტკივილითა და იმედით გწერთ ამ ბარათს. არ გვინდოდა სოფლის გაჭირვება რაიონის გარეთ გაგვეტანა, მაგრამ რა ვქნათ, როცა ჩვენს თხოვნას ყურად არავინ იღებს? სოფელს ტელეფონი არა აქვს, თუმცა ერთი ნომერი გვქონდა და ისიც დამუნჯდა. კლუბი და ბიბლიოთეკა ვითომ გვაქვს, მაგრამ ვაი ამ ქონებას — სივიწროვის გამო შიგ ვერ შევსულდართ! დაწყებითი სკოლა სხვის ოჯახშია მოთავსებული!.. წლების მანძილზე ვითხოვთ ბაგა-ბადის აშენებას, მაგრამ ჩვენს მაგივრად სოფელ ზანავს აუშენეს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ქუჩები სისტემატურად ჩაბნელებულია!.. არ ვიცი, ამ ბარათის გამოგზავნას რა შედეგი მოჰყვება, მაგრამ რწმენას და იმედს მაინც ვიტოვებთ, ძვირფასო ნიანგო!

ბარათები მიიღო ნანა ჯაჯანაშვილმა

ნ.ა. ბ. ხანთაძისა



— ლენტორიის პატივი მინდა ვცე!
— მაგას იმდენი ფული აქვს, ქრთამს აქეთ იძლევა, რომ ქრთამი არ მისცენ!

ნ ა რ ე ვ ი

— კუკურიას სახელმწიფო რესტორანი კოოპერაციულ რესტორნად გადაუკეთებია!

— აბა, რას იზამს! უნინ თუ ჩუმად ქურდობდა, ახლა ნებადართულად ყაჩაღობს!

ერთი ახალგამომცხვარი მოსამართლე წყენით ამბობდა:

— ბედი არ გინდა? მაინცდამაინც ახლა დაიწყო გარდაქმნა!

მეზობლები: — გვითხარი, რა მოხდა, ნუხელ რომ ყველას მშვიდად გვეძინა?

ქეიმი: — ისეთი არაფერი, თქვენს მაგიერ ძილის წამალი თქვენს მეზობელ მომღერალს მივეცი!

ივანე ოსაფიშვილი

მასწავლებელი ეკითხება მიხოს: — სახლში ოთხნი იყვნენ: დედა, მამა და ორი ბავშვი. დილით ჯერ მამა გავიდა, მერე დედა, ვინ დარჩა სახლში, მიხოს?

— ობლები, მასწ!

— რატომ გაქვს, მიხოს, ფრჩხილები დაჭრილი მხოლოდ მარცხენა ხელზე?

— მარჯვენით თავს ვიფხან ხოლმე, მასწ!

X X X

ძვენი ქალის სქელბაკანოვან კუთა არტელი — „საქმე განა მგელია, ტყეში გაიქცეს?“ — შეიკრიბა გარდაქმნასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

სიტყვით გამოსულმა ახალგაზრდა კუმ თქვა, — ჩვენს საწარმოში გარდაქმნა კუს ნაბიჯით მიდის.

ამას ვერ იტყოდა, ზურგი რომ მაგარი არ ჰქონდესო, — გაიფიქრა იქ დამსწრე კუთა უმრავლესობამ.

ზაურ ბადაშვილი

აბა,
ამაყა!

კურდღელი ღელეს წაანყდა და გაიხარა ერთობ, მოსვა და ფერი ეცვალა, — რა მწარეაო, ღმერთო!.. ჩამუქებული ტვერიდან მგელმა გამოყო თავი და შეცბუნებულ ყურცქვიტას მზერა შეავლო ავი.

— აქ ვიყავ ჩასაფრებულნი, — დაალო მგელმა ხახა, — საკმაო ხანი გელოდე, ჩაგახრამუნებ ახლაე!

— რა გაუნყობა... ოღონდაც მსურდა მერჩია შენთვის, — არ აჯობებდა, ჭამის წინ გადაგეყურნა ერთი?

— ეგ, ჩემო კარგო, ნამდვილად, ბრწყინვალე აზრი გახლავს, მაგრამ უღრანში არაყი სად გავაჩინო ახლა?!

— აგერ, ამსიგრძე მდინარე, რომ აღარ უჩანს ბოლო, შენ რა გგონია, ძმობილო, სუფთა სპირტიც მხოლოდ.


— მაშ, გეახლები, ნაცარავ, მეტ მადას მომგვრის ალბათ! — მგელი მდინარეს დააცხრა, სვლედა დაუნყო ხარბად, სიხარულს ვეღარ იოკებს, მსუყე საუზმე ელის...

მაგრამ უსულო თევზივით ამოტრიალდა მგელი!.. გარემო ისე მოხვამა ქარხნის ბოლმა და გაზმა, რომ სანამღავედ აქცია ბუნების აიაზმა.

--


იგავის ბოლო უსურვებს ამ ბოროტების ჩამდენს: ანკარა წყაროს მაგივრად იმ მდინარის წყალს სვამდეს!..

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა



ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს მსხვილმა დირექტორმა მეტისმეტი მოინდომა და მისი საქმე საგამოძიებლო ორგანოებში გაკომულ ბეწვზე დაკიდეს. მაგრამ მსხვილ დირექტორს მსხვილი ლომი გამოუჩნდა მფარველად, საქმე ბეწვიდან ჩამოხსნეს, ისევ კადრებში დააბრუნეს და დირექტორი მეტე იმავე საწარმოს მთავარ ინჟინრად დანიშნეს. ყოფილი მთავარი ინჟინერი უადგილობის გამო განყოფილების უფროსად დააქვეითეს, განყოფილების ყოფილი უფროსი — საამქროს უფროსად, საამქროს ყოფილი უფროსი — ოსტატად, ყოფილი ოსტატი — მუშად, მუშა კი... შტატების შემცირებაში მოჰყვა და გაათავისუფლეს!..

რუზან ფარაძე



ყვხოყაა
იამერი

ორმაგი დასვენება

- გუშინდამ ორმაგად დავისვენე!..
- ეს როგორ?
- დამესიზმრა, რომ მეძინა!

ჭუჭრუტანა

გამომცდედი: — იცით, ქალიშვილო, როგორ საგანს უწოდებენ გამჭვირვალეს?

აბიტურიენტი: — რა თქმა უნდა, ვიცო, ბატონო! ისეთს, რომლის მიღმაც ყველაფერი მოჩანს

გამომცდედი: — მაგალითად?

აბიტურიენტი: — კარის ჭუჭრუტანა.

სათხალა

- რატომ ატარებთ სათვალეს ძილშიც?
- იმდენად ახლომხედველი გავხდით ამ ბოლო დროს, რომ სიზმარშიც ვეღარ ვცნობ ხალხს.

როგ მცოდნოდა...

- ვიქტორია, რომ მცოდნოდა გვირავი ასეთი დიდი იქნებოდა, მე თქვენ გაკოცებდით!..
- როგორ?! მაშ ეს თქვენ არ იყავით?!

მატარებელი

ვაგონის გამცილებელი: — თქვენი ბილეთი ჩვეულებრივი მატარებლისათვის არის ვარგისი, თქვენ კი სწრაფი მატარებლით მგზავრობთ!

მ გ ზ ა ვ რ ი: — ეს მე სრულებით არ მანუხებს. რაკი ასეა, შეგიძლიათ მემანქანეს უთხრათ, შეანელოს სვლა!

ფრანგულიდან თარგმნა იონა ბადავიძემ

